



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ამირანდარეჯანიანი“

„ამირანდარეჯანიანი“, საფალავნო-სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოები, რ-ითაც დაიწყო საერო ნაკადი ქართულ მწერლობაში და საფუძველი ჩაეყარა ქართული საგმირო-სარაინდო რომანის განვითარებას.

მისი წარმოშობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ენობრივი მონაცემების, აგრეთვე სხვა ნიშნების მიხედვით, შექმნილი უნდა იყოს XI-XII სს. მიჯნაზე. „ა.“ კლასიკურ ხანაშივე ყოფილა პოპულარული. „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიოგრაფიულ სტროფში მის ავტორად მოსე ხონელია მიჩნეული. „ვეფხისტყაოსანშივე“ ვითარდება „ა-ის“ ზოგი მოტივი. თხზულებას იცნობს თამარის მემპტიანეც.

„ა-ის“ თორმეტ კარში რამდენიმე სახელოვანი გმირის ამბავია მოთხრობილი. მთავარი პერსონაჟია ამირან დარეჯანის ძე, რ-ის საგმირო-საფალავნო საქმეთა გადმოცემას ხუთი კარი ეთმობა. სხვადასხვა გმირის თავგადასავალთა თხრობა ორგანულად არ არის შეკავშირებული. ამგვარი აგებულება „ა-ს“ უკარგავს მთლიანობას და საფიქრებელს ხდის, რომ ცალკეული ამბები ჩამოყალიბებულია დამოუკიდებლად და მხოლოდ შემდგომ გაუერთიანებიათ.

მკვლევართა დიდი ნაწილი „ა-ის“ ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ხაღხ. „ამირანიანს“ მიიჩნევს. „ა-ში“, ისევე როგორც კლასიკური ხანის ქართ. საერო მწერლობის სხვა ძეგლებში, გამოხატულია პატრონყმური საზ-ბის მსოფლმხედველობა; ცენტრალიზებული ფეოდალ. სახელმწიფოს დაცვისა და პატრონის ერთგული სამსახურის იდეა, რაც საერთოა კლასიკური ხანის ქართ. ლიტ-რისათვის. წინაა წამოწეული თავგადასავლის, მოქმედების, ხიფათის მოტივები. გმირთა სახეები სქემატურად და ერთფეროვნადაა დახატული: ყოველი

მათგანი თითქმის ერთნაირად არის დაჯილდოებული ფიზ. ძალით, სიმარჯვით, დამარცხებულთა შეწყალებისა და გაჭირვებულთა დახმარების უნარით, გულუხვობითა და სხვა რაინდული თვისებებით. ნაკლები ყურადღება ექცევა მათი სულიერი სამყაროს, გრძნობების, განცდების ასახვას. „ა-თვის“ უცხოა ამაღლებული სიყვარულის გრძნობა, მიჯნურობა გულისხმობს ქალის ბრძოლით მოპოვებას. „ა-ს“ გასდევს ხალხ. ეპოსის ზღაპრულ-ფანტასტიკური მოტივები. თხზულების ენა სადა და ლაკონურია. „ა.“ ერთსა და იმავე დროს ქართ. განწყობილებასაც გამოხატავს და სპარსულსაც. აქ, ერთი მხრით, წარმოდგენილია ქართ. სოც.-პოლიტ. ცხოვრების სურათის ანარეკლი, მეორე მხრით – მაჰმადიანური მწე-ჩვეულებების კვალი. ამ გარემოებამ განაპირობა დავა „ა-ის“ ქართ. თუ სპარს. წარმოშობის თაობაზე. თხზულების სპარს. წარმოშობის ვერსიას იცავდნენ მ. ბროსე, ნ.მარი და სხვ. რომანში ასახული ქართ. წეს-ჩვეულებების, აგრეთვე შედარებითი შესწავლის (სპარსულში არ მოიპოვება მსგავსი შინაარსის თხზულება) საფუძველზე ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, ი. აბულაძე, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, კ. დონდუა, მ. ჩიქოვანი, შ. ნუცუბიძე და სხვ. „ა-ის“ ქართ. წარმოშობას ამტკიცებენ. სპარს. ტენდენციის კვალს ისინი თხზულების წარმოშობა-სადაურობის გარკვევისათვის არაარსებით, მეორეულ მოვლენად მიიჩნევენ.

„ა-ის“ ტექსტი გვიანდ., XVII და მომდევნო საუკუნეების ხელნაწერებითაა მოღწეული. რომანის ვრცელი რედაქცია XVIII ს. რედაქტორ-კომპილატორებს ეკუთვნის. ამავე ხანებში შეიქმნა „ა-ის“ გალექსილი ვერსიაც.

„ა.“ ხუთჯერ გამოიცა – 1896, 1939, 1949, 1960, 1967. ითარგმნა ინგლისურად (რ. სტივენსონი, ლონდონი, 1958) და რუსულად (ბ. აბულაძე, თბ., 1965).

ტექსტი: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, ლ. ათანელიშვილის გამოც., თბ., 1967.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1945; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

გ. იმედაშვილი
